



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აკოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

დიზაინის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

მოდის დიზაინი

პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო მგალობლიშვილი, კულტურის კვლევების დოქტორი, პროფესორი,
მოდის დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელი

დამტკიცებულია თსსა დიზაინის საბჭოს მიერ
2023 წლის 5 აპრილის სხდომაზე, ოქმი № 5
თსსა აკადემიური საბჭოს
2023 წლის 24 აპრილის სხდომაზე, ოქმი №23

პროგრამის სახელწოდება : მოდის დიზაინი/Fashion Design

განათლების საფეხური : უმაღლესი განათლების პირველი საფეხური/ბაკალავრიატი (6)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ხელოვნების ბაკალავრი მოდის დიზაინში /Bachelor of Fine Arts in Fashion design / BFA

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა : საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირიერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

გრანტის მოსაპოვებლად ჩასაბარებელი საგნები პრიორიტეტის მიხედვით :

1. ქართული ენა და ლიტერატურა ; 2. უცხო ენა ; 3. მათემატიკა ; 4. ისტორია.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს თსსა შემოქმედებითი ტური.

ინფორმაცია შემოქმედებითი ტურის შესახებ ხელმისაწვდომია აბიტურიენტისათვის ტურის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე.

შემოქმედებითი ტურის დებულება იხ. თსსა ვებგვერდზე https://drive.google.com/file/d/14s8V8Pe_kHNyr9r7JjhgApk6i0kfybwy/view , უწყვეტად

აქტიურია „მოდის დიზაინის“ მიმართულების გვერდი - TSAA/Fashion Design Portal თსსა/მოდის დიზაინის პორტალი

<https://www.facebook.com/profile.php?id=100063508359138>

სწავლების ენა : ქართული

სწავლის ხანგრძლივობა : 4 წელი (8 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა - 240 კრედიტი (ECTS)

- სპეციალობის დისციპლინები - 140 კრედიტი
- საბაზისო საგანი - 18 კრედიტი
- საუნივერსიტეტო - 36 კრედიტი
- სპეციალობის არჩევითი დისციპლინები (მათ შორის, საუნივერსიტეტო არჩევითი დისციპლინები) - 46 კრედიტი
- * 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.
- * ერთი აკადემიური წელი - 2 სემესტრი (60 ECTS)

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები/და მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა

* 1 სემესტრი მოიცავს - სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს, მათ შორის, 15 სასწავლო კვირა, სასესიო კვირა-16, 17, 18

* 1 სემესტრის განმავლობაში -1 (ერთი) შუალედური გამოცდა

* სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ - 1 (ერთი) დასკვნითი გამოცდა

* დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილია - 2 კვირა და დამატებით გამოცდისათვის 1 კვირა

პროგრამის ანოტაცია :

მოდის ინდუსტრია, მცირე და საშუალო ბიზნესის ჩამოყალიბება, გასაღების ბაზრის საჭიროებები და სპეციალიზებული პროდუქციის მიწოდება, ექსკლუზიური მაღალი ხარისხის დიზაინერულ პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნა, ინოვაციური ტექნოლოგიები, ახალი სპეც. აღჭურვილობები და ა.შ. - ახალი ტიპის სპეციალისტის მომზადებას მოითხოვს.

საბაკალავრო პროგრამის „ მოდის დიზაინი “ მუშაობის ძირითადი პრინციპია - შესაბამისობა საერთაშორისო პროგრამების სტანდარტებთან, კლასიკური განათლების დადებითი გამოცდილების გათვალისწინება.

თსსა მოდის დიზაინის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამა - ეს არის პროფესიის „ნულიდან“ მიღების შესაძლებლობა ამ სფეროში წინასწარი მომზადების გარეშე. სწავლება ამ მიმართულებით ორიენტირებულია არა ვიწრო სპეციალიზაციის შესწავლაზე, არამედ დიზაინისადმი ინტერდისციპლინურ მიდგომაზე, რომელიც ინტეგრირებული აზროვნების სპეციალისტების მომზადებას შეუწყობს ხელს. კერძოდ, სასწავლო პროცესში მოდის დიზაინის შემსწავლელ სპეციალურ დისციპლინებთან ერთად გათვალისწინებულია მომიჯნავე სფეროების ზოგადჰუმანიტარული და ბიზნესზე ორიენტირებული დისციპლინების შესწავლა.

პროგრამა ორიენტირებულია პროექტებზე დაფუძნებულ პრობლემურ სწავლებაზე, დასრულებული დიზაინერული პროდუქტი. საპროექტო საქმიანობა იწყება მე - 2 კურსიდან. პროექტების სირთულე გათვალისწინებულია პროგრამის დონეების მიხედვით. სამუშაო პროცესი მიმდინარეობს გამოცდილი პრაქტიკოსთა გუნდის მხარდაჭერით (თსსა პედაგოგები, დიზაინის სფეროს წარმატებული ლიდერები). სასწავლო პროცესის მახასიათებელია სტუდენტთა სუბიექტური გამოცდილებისა და შემოქმედებითი ინტუიციის გააქტიურება, მიება, ექსპერიმენტები და ა.შ.

ბაკალავრიატის პროგრამა ამზადებს კონკურენტუნარიან დიზაინერს განვითარებული ინდივიდუალური სტილით. კურსდამთავრებულს, სპეციალურ ცოდნასთან ერთად, აქვს სოციალურ - ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის უნარი, შეუძლია ბაზრისა და მომხმარებლის მოთხოვნის ანალიზი და, ზოგადად, კომპლექსურ ამოცანათა გადაწყვეტა; მომზადებულია რეალური სამუშაო პირობებისთვის მოდის დიზაინის სფეროში, რათა განხორციელოს იდეა საბოლოო პროდუქტამდე, აქვს განვითარებული შემოქმედებითი უნარები და ვიზუალური ხედვა, ჰქმნის კოლექციებს, პასუხობს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს და ასტიმულირებს ინოვაციებს.

გამოცდილი პედაგოგები აუდიტორიაში ხდებიან სტუდენტების მენტორები, კოლეგები, რაც ქმნის ნდობისა და პროფესიული ზრდის ატმოსფეროს. პედაგოგები მომავალ დიზაინერებს ხელს უწყობენ ახალი მიდგომებით ექსპერიმენტირებაში, კერძოდ, მდგრადი რესურსების, ინოვაციური მასალების, საქმიანობის ნარჩენების გარეშე, ახალი ტექნოლოგიების და ა. შ. გათვალისწინებით.

მოდის დიზაინში უმაღლესი განათლების მიღება სრულდება პროფესიონალურად ორგანიზებული მოდის ჩვენებით (შოუ/Show). კურსდამთავრებულები საკუთარ კოლექციებს წარადგენენ ფართო აუდიტორიის წინაშე (ადგილობრივ და საერთაშორისო ინდუსტრიის ლიდერები, ჟურნალისტები, ბაიერები, წარმატებული დიზაინერები და სხვ.). ეს უნიკალური გამოცდილება კურსდამთავრებულს საშუალებასაძლევს გადადგას პირველი ნაბიჯი პროფესიონალური მოდის სამყაროსკენ.

შენიშვნა : საჭიროების შემთხვევაში პროგრამა უზრუნველყოფს ონლაინ ან/და გიბრიდულ სწავლებას.

პროგრამის მიზნები :

განათლების შესაბამისი ხარისხით უზრუნველყოს კურსდამთავრებულის მაღალკონკურენტუნარიანობა და მოთხოვნადობა შრომის ბაზარზე; სასწავლო პროგრამის ორიენტირება თანამედროვე ეკონომიკური, სამრეწველო, ტექნოლოგიური, ესთეტიკური ცოდნის გადაცემასა და თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავებაზე, მათ შორის :

- სასწავლო პროცესის ძირითადი ნაწილის პროექტებზე დაფუძნებული სწავლებაზე გადაყვანა, დიზაინ-სწავლების ახალი ფორმის და ახალი პედაგოგიური კულტურის ჩამოყალიბება (პედაგოგი - მენტორი), ინოვაციური სივრცის შექმნა, საპროექტო საქმიანობის პროცესში ტრადიციული მიდგომებთან ერთად ექსპერიმენტული ძიებები, ევრისტიკული მეთოდების გააქტიურება და ა.შ.) ;
- განათლების დაკავშირება დიზაინ პრაქტიკასთან (გააქტიურებული პრაქტიკული მომზადება) ;
- ტრადიციული ტექნიკებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაერთიანება ;
- კონცეპტუალური და სამომხმრებლო პროდუქტის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინდივიდუალური სტილის მქონე კონკურენტუნარიანი დიზაინერების მომზადება ;
- სასწავლო პროცესში ადგილობრივი და საერთაშორისო შემოქმედებითი ლიდერებისა და დიზაინის სფეროს კერძო სექტორის ჩართვა ;
- ძირითადი პროფესიონალური უნარ-ჩვევებისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების პარალელურად თანამედროვე შრომისბაზრისა და ბიზნეს ტექნოლოგიების შესწავლა ;
- „ჩაშენებული“ პრაქტიკის ფარგლებში კონკრეტული პროექტების შემუშავება ;
- ვიზუალური კულტურის მომიჯნავე დარგებთან აქტიური ურთიერთმოქმედება ;
- ციფრული პროგრამების გამოყენებით სტუდენტთა დიზაინერული პროექტების რეალიზება ;
- სტუდენტთა პირადი აქტიურობის სტიმულირება, თვითსწავლის, დამოუკიდებელი ძიებების ნიჭის განვითარება ; ჩართვა სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამებში ;
- სწავლა-სწავლების პროცესში კვლევითი, თეორიული, პრაქტიკული და შემოქმედებითი ასპექტების ერთობლიობა ;
- გარემოსა და ბუნების ნორმების დაცვის, გუნდში მუშაობის უნარების გაძლიერება

სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის და ტექსტილის დიზაინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან (12.08.2022 - დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი / ბრძანება MES 8 22 0000899779)

სწავლების პროცესში გამომუშავებული პროფესიული კომპეტენციები (შედეგი)

სტუდენტი პროფესიონალურად აზროვნებს - აცნობიერებს და ნათლად აყალიბებს ამოცანას, შეუძლია მოკლე დროში მოახდინოს საკუთარი იდეების დამუშავება/განხორციელება, სწრაფად გადაწყვიტოს რთული საპროექტო, შემოქმედებითი და ბიზნეს ამოცანები, მათ შორის :

* სამკერვალო და ტექსტილური ქსოვილების დამუშავების ტექნოლოგიები, ფორმების კონსტრუირება, მასალაში შესრულების ხარისხი, ტექნოლოგია/პროექტირება (სწავლის პროცესი მჭიდრო კავშირშია პრაქტიკასთან) ;

** მარკეტინგული ცოდნა (ბაზრის მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე წარმოებული პროდუქციის მომგებიანად რეალიზება),კერძოდ :

- **ცოდნა/გაცნობიერება**

1. სტუდენტმა იცის ტანსაცმლის შექმნის პროცესები, მათ შორის, კვლევა, მიზნობრივი მასალის მოძიება/დახარისხება, ესკიზირება, შემოქმედებითი, ექსკლუზიური, სერიული წარმოებისთვის მოდელებისა და პროტოტიპების შექმნა ;
2. ახდენს დიზაინის პროექტირებისა და ხელოსნობის ინტერპრეტაციას მოდის კონტექსტში, იდეების განხორციელებისათვის მასალებისა დაქსოვილების ზუსტ ანალიზს, ანვითარებს ინდივიდუალურ ხედვას ინდუსტრიისა და ბრენდების საჭიროებებთან ;
3. სტუდენტი აცნობიერებს თეორიული ცოდნისა (მსოფლიო და ქართული კოსტიუმის ისტორია, მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიები, მოდის ინდუსტრიის განვითარების ეტაპები და სხვ.) და პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობას და მიღებულ ცოდნას იყენებს რაციონალურად საპროექტო საქმიანობაში (ტანსაცმლის კონსტრუქცია, ტექნოლოგიები, სამკერვალო და ტექსტილური მასალები, სამგანზომილებიანი (3D) კოსტიუმების ფორმების შემუშავება, ტანსაცმლის სრული ანსამბლის ფორმირება და ა.შ.), ასევე, აცნობიერებს ეფექტური საპროექტო საქმიანობისათვის ციფრული გრაფიკისა და ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობას (ციფრული ტექნიკური და მხატვრულ ილუსტრაცია, ციფრული მასალის შერჩევა/დამუშავება, ციფრული თარგი/მოდელირება, ციფრული ნიმუშების მაკეტირება, ტექნიკურ დოკუმენტაციის შედგენა, ციფრული დიზაინის ძირითად ასპექტები) და დიზაინერული ნიმუშის შექმნასათვის იყენებს 3D ციფრულ პროგრამებს (CLO | 3D Fashion Design Software, Adobe Photoshop, Adobe Illustrator და სხვ.);
4. სტუდენტი აცნობიერებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურობასა და მის მნიშვნელობას დარგის მდგრადი განვითარებისათვის, იყენებს აქტიურად დიზაინერულ პროექტებში (ბრენდის იდენტურობა/brand identity, პოზიციონირება და მენეჯმენტი, წარმოება, მომხმარებელთა ჩვევები და ტენდენციები და სხვ.)

- **უნარი**

5. დიზაინ-პროექტის ძირითადი ამოცანების განსაზღვრის უნარი : დასაპროექტებელი ობიექტის დანიშნულებისა და ფუნქციების განსაზღვრა, კონსტრუქციული და ტექნოლოგიური მოთხოვნების განსაზღვრა, არსებული პროდუქტის მოდერნიზება, სრულიად ახალი პროდუქტის შემუშავება პრობლემების ახალ ფორმულირებაზე დაყრდნობით, ან/და აქამდე უცნობ ტექნოლოგიურ პრინციპზე (ექსპერიმენტების გამოყენებით) აგებით ;
6. შემოქმედებითი მიდგომით, წინასწარ დაგეგმილ ან/და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში ანვითარებს დიზაინერულ პროექტებს, მათ შორის, აანალიზებს, ახდენს კლასიფიკაციას და არჩევს მასალების ტექნიკურ /ესთეტიკურ /საექსპლუატაციო თვისებებს. აქვს უნარი შექმნას სერიული და შემოქმედებითი კოსტიუმების დიზაინი მასობრივი და ინდივიდუალური წარმოებისთვის, მათ შორის საავტორო;
7. ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით, გააჩნია იდეების გენერირების, სტიმულირების და, ამის მათ საფუძველზე, ახალი პროდუქტების, ტექნოლოგიებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი ;
8. მიღებული ცოდნისა და დიზაინერული საქმიანობის პრეზენტირებისათვის შეიმუშავებს მიზნობრივ პორტფოლიოს (შემოქმედებითი, ციფრული, ბეჭდური) და წარუდგენს შესაბამის აუდიტორიას.

- **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

9. წარმართავს კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და იღებს პასუხისმგებლობას მის მდგრადობაზე, მათ შორის, ახდენს და ანვითარებს კომერციული დიაპაზონის მასშტაბებს ;
10. პასუხისმგებელია პროფესიონალური კომპეტენციების შეძენაზე, რომლებიც აუცილებელია უწყვეტი განათლებისა და წარმატებული დიზაინერული საქმიანობისთვის ;
11. კომპლექსურ, მულტიდისციპლინურ ან არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს სტანდარტულ თუ არასტანდარტულ პირობებში პასუხისმგებელია მიიღოს გადაწყვეტილებები ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით

სწავლება/სწავლის მეთოდები :

პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიური მიდგომა პასუხობს საერთაშორისო დიზაინ - სწავლების ერთ-ერთ მთავარ პრინციპს - ორიენტაციას არა იმდენად კონკრეტული ცოდნის გადაცემაზე, რომელიც მუდმივად ძველდება, არამედ, საბაზო კომპეტენციების ათვისებაზე, რომელიც, შემდგომ ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავების საშუალებას იძლევა, ასევე, გარდა დარგის შესაბამისი სპეციფიკური უნარებისა, ხელს უწყობს სტუდენტის ტრანსფერული უნარების განვითარებას.

შემოქმედებითი პრობლემის გადაჭრისას, დიზაინის ტრადიციული მეთოდები ვეღარ პასუხობს სფეროს ახალ გამოწვევებს, აქედან გამომდინარე, განახლებულ და ახალ საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიზაინერის პროექტული აზროვნების განვითარებას, დიზაინში შემოქმედებით ძიებას, მათ შორის : ლექცია, თეორია/ პრაქტიკა, ინტერაქტიული სწავლება, კომპლექსური (სასწავლო-შემოქმედებითი, გუნდური, ინდ. პროექტები და სხვ.), ინდივიდუალური ან/და ჯგუფური მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, პრობლემური სწავლება, პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება , დედუქციური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, ლაბორატორიული მეთოდი , სინთეზის მეთოდი, შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), ევრისტიკული მეთოდი და ა.შ.

სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდოლოგიური პრინციპები კომპლექსური მიდგომების საშუალებას იძლევა. ასევე, შესაძლებელია გამოყენებული იყოს მეთოდები, რომელიც არ არის მითითებული „სწავლა-სწავლების მეთოდების“ პუნქტში, მაგრამ, აღნიშნულია კურიკულუმის სილაბუსში.

მეთოდური პროცესი პირობითად ოთხ ძირითად ეტაპად იყოფა : ინფორმაციული ; ანალიტიკური-კვლევით ნაწილი; სინთეტიკური ; კომუნიკაციური - პრაქტიკული ნაწილი

დასაქმების სფეროები :

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინი“ კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს იმუშაოს სფეროს მიმართულებით ნებისმიერ შემოქმედებით გარემოში, მოდის სახლში, მცირე და მასშტაბური საწარმოში, ინდივიდუალურ ან/და სავაჭრო სივრცეებისთვის კერძო დაკვეთაზე, ასევე, დასაქმდეს საჯარო და კერძო სახელოვნებო ორგანიზაციებში, მათ შორის, სტილისტებად მედიისა და სარეკლამო კომპანიებში, ციფრულ ან/და ბეჭდვით გამომცემლობებში მოდის ილუსტრატორებად, სავაჭრო ცენტრებში სტილისტებად ან/და კონსულტანტებად, შეუძლიათ მოდის დიზაინის სფეროს სხვადასხვა მიმართულებით ჩაატარონ სტუდიური სამუშაოები, ვორქშოპები, მასტერკლასები დამწყები დიზაინერებისათვის, დიზაინით დაინტერესებული აუდიტორისათვის, აბიტურიენტებისათვის, მაგალითად : მოდის ილუსტრაცია ხელით ან/და ციფრული, სთაილინგი, თარგის დაპროექტება/მასალაში შესრულება, ქსოვილის ტექნოლოგიები, ლექციები კოსტიუმისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ და ა. შ.

პროგრამის სტრუქტურა

- * სპეციალობის დისციპლინები - 140 კრედიტი
- * საბაზისო დისციპლინები - 18 კრედიტი
- * საუნივერსიტეტო დისციპლინები - 36 კრედიტი
- * არჩევითი დისციპლინები - 46 კრედიტი

მათ შორის არის, სპეციალობის საავტორო დისციპლინები - სტუდენტს, ეძლევა საშუალება აირჩიოს სპეციალობის არჩევითი საგანი, რომელსაც უხელმძღვანელებს სპეციალურად მოწვეული, მოდის სფეროში აქტიური პრაქტიკოსები (კერძო და სახელმწიფო სექტორიდან, შემოქმედებითი და ბიზნეს სფეროდან)

** სასწავლო წლის V- VI სემესტრში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა

** სასწავლო წლის VIII სემესტრში გათვალისწინებულია „ჩაშენებული“ პრაქტიკა

• **სემესტრების მიხედვით გათვალისწინებული კრედიტების ოდენობა**

საგნების დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	EGTS
საბაზისო დისციპლინები	9	9							18
საუნივერსიტეტო დისციპლინები	12	12	6	6					36
არჩევითი დისციპლინები/ სპეცილობის არჩევითი დისციპლინები	4	4	8	8	8	8	6		46
სპეციალობის დისციპლინები	12	12	20	20	20	20	20	16	140
სულ	37	37	34	34	28	28	26	16	240

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა (შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული საგნის სილაბუსში) :

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება, სემესტრის განმავლობაში ითვალისწინებს 2 გამოცდას, კერძოდ,

* შუალედური შეფასება - 40 ქულა (მაქსიმალური)

* დასკვნითი შეფასება - 60 ქულა (მაქსიმალური)

სასწავლო კომპონენტის შეფასების საერთო ქულა - 100 ქულა (მაქსიმალური) საბაკალავრო ნაშრომის შეფასება :

შეფასების მეთოდებად გამოყენებული განვითარების დინამიკის მაჩვენებელი ინსტრუმენტი - პრეზენტაცია, პორტფოლიო, ექსპოზიცია, გამოფენა/შოუ, ინტერვიუ, რეფერატი და სხვ.

შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს : ვალიდურობას ; სანდოობას ; გამჭვირვალობას ; სამართლიანობას

სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა :

ქულები	შეფასება		შეფასების კვალიფიკაცია
91% - 100%	A	ფრიადი	დადებითი
81% - 90%	B	ძალიან კარგი	დადებითი
71% - 80%	C	კარგი	დადებითი
61% - 70%	D	დამკმაყოფილებელი	დადებითი
51% - 60%	E	საკმარისი	დადებითი
41% - 50 %	FX	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)	უარყოფითი
0% - 40%	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი, საგანი თავიდან უნდა გაიროს)	უარყოფითი

საბაკალავრო ნაშრომის საკვალიფიკაციო დახასიათება :

საბაკალავრო ნაშრომი მოიცავს სასწავლო პროცესის განმავლობაში სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა-გამოცდილებისა და ათვისებული უნარ-ჩვევების შემაჯამებელ კომპლექსურ პრეზენტაციას (I სემესტრიდან VIII სემესტრის ჩათვლით)

საბაკალავრო ნაშრომი - 10 ECTS

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება განისაზღვრება - 100 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის მოცულობის მინიმალური რაოდენობა - მცირე საკოლეჯი ხაზი (არანაკლებ 5 კოსტიუმი/ანსამბლი) საბაკალავრო ნაშრომის თანდართული აუცილებელი დოკუმენტაცია :

1. შემოქმედებითი პორტფოლიო (მოდის ილუსტრაციები, ფოტო, კოლაჟი, განწყობის გვერდი, მხატვრული ანალიზი და სხვ.)
2. ტექნიკური პორტფოლიო (კოსტიუმის უტილიტარული მხარე - ტექნიკური ნახატი/ნახაზი, გამოყენებული ტექნოლოგიებისა და მასალის აღწერა, პროდუქციის გათვალისწინებით მიზნობრივი აუდიტორიის აღწერა)
3. ლუქბუქი (საკოლეჯო ხაზის ციფრული ვერსია)
4. ციფრული პრეზენტაცია
5. შესაძლებელია სხვ. თანდართული მასალა (შემოქმედებითი ნაწილი, დარგის მიმართულებით აქტივობების ამსახველი დოკუმენტირებული მასალა და სხვ.)

საკვალიფიკაციო კომისიის ფორმირების წესი :

საბაკალავრო ნაშრომს აფასებს კომისია, რომლის შემადგენლობაში 8 წევრია - ფაკულტეტის დეკანი, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი, მოწვეული დარგის პრაქტიკოსები, მათ შორის : ბაზარზე აქტიური დიზაინერები, სფეროდან ბიზნეს სექტორისა და მედიის წარმომადგენლები

1. კომისიას ჰყავს თავჯდომარე (ფაკულტეტის დეკანი)
2. კომისიის შემადგენლობაშია სპეციალურად მოწვეული დარგის პრაქტიკოსები - 6
3. კომისიის შემადგენლობას ადგენს ფაკულტეტის საბჭო საბაკალავრო ნაშრომის დაცვამდე არაუგვიანეს 2 (ორი) კვირისა

ხელმძღვანელის დანიშვნის წესი :

1. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი
2. შესაძლებელია სტუდენტს ჰყავდეს თანახელმძღვანელი
3. პროგრამის ხელმძღვანელი, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს ფაკულტეტის საბჭოზე დასამატკიცებლად წარადგენს - სასწავლო წლის VI სემესტრის დასასრულს

შენიშვნა : აუცილებელია სტუდენტს ჰყავდეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი

საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევა და წარდგენის წესი :

- სტუდენტი (ხელმძღვანელთან შეთანხმებით) საბაკალავრო ნაშრომის თემას წარადგენს დასამატკიცებლად - VII სემესტრის ბოლოს
- საბაკალავრო თემას განიხილავს და ამტკიცებს მოდის დიზაინის მიმართულების პროფესორ-პედაგოგთა ჯგუფი

საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა შეფასებისათვის - VIII სემესტრის დასრულების შემდეგ (3 კვირის განმავლობაში)

- საბაკალავრო ნაშრომის დაცვის თარიღს განსაზღვრავს დიზაინის ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს VIII სემესტრის განმავლობაში
- საბაკალავრო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციის დაზუსტებულ თარიღს განსაზღვრავს დიზაინის ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს VIII სემესტრის განმავლობაში

საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა განაწილებულია - 2 ეტაპად (წინასააღიპლომო ჩათვლა - VIII სემესტრის შუა პერიოდი) :

I ეტაპი - საბაკალავრო ნაშრომის შესაფასებლად წარდგენა (ფასდება ნაშრომი)

II ეტაპი - საბაკალავრო ნაშრომის ანგარიში /საჯარო პრეზენტაცია (ნაშრომი უკვე შეფასებულია და ხდება საჯარო პრეზენტაცია ,

პრეზენტაციის ფორმა : თავისუფალი არჩევანი - შოუ, შოურუმი, სასცენო წარმოდგენა, პერფომანსი, ინსტალაცია და სხვ.)

- საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები :

საბაკალავრო ნაშრომი		ქულა	ECTS
1	შემოქმედებით-მხატვრული უნარები, ანალიტიკური აზროვნება, ასოციაციური აზროვნება, ვიზუალური ხედვა , გამოყენებული მეთოდები, ძიება, ინტერპრეტაციის უნარი	30	10
2	ტექნიკურ-ტექნოლოგიური უნარები სპეციფიკური ამოცანების შესასრულებლად კონსტრუქციული ფორმების ვერსიები, სამკერვალო ტექნოლოგიების ვერსიები, გამოყენებული მეთოდები	30	
3	საკოლექციო ხაზის მიზნობრიობის გათვალისწინება (რაციონალური ან/და შემოქმედებითი კუთხით საკოლექციო ხაზისდაგეგმვა/ორგანიზება, მიზნობრივი აუდიტორიის განსაზღვრა)	30	
4	საბაკალავრო ნაშრომის ეფექტური პრეზენტაცია - პორტფოლიო; ლუქბუქი ; ციფრული პრეზენტაცია (მაჩვენებელი - სივრცითი, ანალიტიკური და ასოციაციური აზროვნების, ძიებისა და ექსპერიმენტული მუშაობის შედეგების)	10	

- პროგრამის სასწავლო გეგმა

საგნების დასახელება	ECTS / სთ	ლექცია (კვირა)	სთ/ლექს	საკონტაქტო	არასაკონტაქტო	ლექცია-პრაქტიკუმი	შუალედური შეფასება (ეტი/სთ)	დასკვნითი გამოცდა/სთ	საბაკალავრო ნაშრომი/სთ
საბაზისო დისციპლინები									
ხატვა	3/75	15							

ხატვა	3/75	15							
ფერწერა	3/75	15							
ფერწერა	3/75	15							
გეომეტრიული მოდელირება (ორთოგონალური გეგმილები, აქსონომეტრია, პერსპექტივი)	3/75	15	2	32	43		4	2	
ინფორმაციული ტექნოლოგიები და საოფისე უნარები	3/75	15	2	33	42		4	3	
სულ :	18								
საუნივერსიტეტო დისციპლინები									
ძველი სამყაროს ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3	
შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3	
XVII-XIX სს-ის ევროპის ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3	
ახალი და უახლესი დროის ხელოვნება (XX-XXI სს)	3/75	15	2	33	42		4	3	
წინაქრისტიანული და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3	
ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება (XIX-XXI სს)	3/75	15	2	33	42		4	3	
უცხო ენა I	3/75	15	2	33	42		4	3	
უცხო ენა II	3/75	15	2	33	42		4	3	
უცხო ენა III	3/75	15	2	33	42		4	3	
უცხო ენა IV	3/75	15	2	33	42		4	3	
ფილოსოფია	3/75	15	2	33	42		4	3	
აკადემიური წერა	3/75	15	2	33	42		4	3	
სულ :	36								
არჩევითი დისციპლინები, სპეციალობის არჩევითი დისციპლინები	46								
სპეციალობის საგნები									
მასალათმცოდნეობა	2/50	15	3	49	1	45	2	2	
სიბრტყობრივი და მოცულობითი ფორმების პროექტირება	2/50	15	3	49	1	45	2	2	
საბაზისო მაკეტირება	2/50	15	3	49	1	45	2	2	
ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (კოლაჟი/აპლიკაცია)	2/50	15	3	49	1	45	2	2	
ქსოვის ტექნიკა	3/75	15	4	64	11	60	2	2	
დეკორატიული ქსოვა	3/75	15	4	64	11	60	2	2	
შერეული ტრიკოტაჟი	3/75	15	4	64	11	60	2	2	
ტრიკოტაჟის ტექნიკა	3/75	15	4	64	11	60	2	2	
შემოქმედებითი ქსოვა და ქარგვა	3/75	15	4	64	11	60	2	2	
მანქანური ქსოვა	3/75	15	4	64	11	60	2	2	
ფეხსაცმლის ტექნოლოგია (მცირე ზომის მოდელები)	3/75	15	4	64	11	60	2	2	
ფეხსაცმლის ტექნოლოგია (ისტორიული ფეხსაცმლის ანალოგები)	3/75	15	4	64	11	60	2	2	
ფეხსაცმლის ტექნოლოგია	3/75	15	4	64	11	60	2	2	
მოდის ილუსტრაცია	3/75	15	4	64	11	60	2	2	
საპროექტო გრაფიკა - მოდის ციფრული ილუსტრაცია, ტექნიკური ნახატი	3/75	15	4	64	11	60	2	2	

საპროექტო გრაფიკა - ციფრული პოტფოლიო	3/75	15	4	64	11	60	2	2	
პრეზენტაციის ხელოვნება	3/75	15	4	64	11	60	2	2	
პრაქტიკა - სპეც. ტექნოლოგიები (სავალდებულო არჩევითი) : * ექსპერიმენტული - კომბინირებული ქსოვილი * ექსპერიმენტული - კომბინირებული ტრიკოტაჟი * ექსპერიმენტული აქსესუარები	3/75	15	4	64	11	60	2	2	
ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (ქვილთი)	4/100	15	5	79	21	75	2	2	
ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (შიბორი)	4/100	15	5	79	21	75	2	2	
ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (ცხელი ბატიკა)	4/100	15	5	79	21	75	2	2	
ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (ცივი ბატიკა)	4/100	15	5	79	21	75	2	2	
ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (პრინტი)	4/100	15	5	79	21	75	2	2	
სპეც. კომპოზიცია I	4/100	15	5	79	21	75	2	2	
სპეც კომპოზიცია II	4/100	15	5	79	21	75	2	2	
სპეც კომპოზიცია III	4/100	15	5	79	21	75	2	2	
სპეც კომპოზიცია IV	4/100	15	5	79	21	75	2	2	
სპეც კომპოზიცია V	4/100	15	5	79	21	75	2	2	
კომპოზიციის საფუძვლები	5/125	15	6	94	31	90	2	2	
სპეც. კომპოზიციის საფუძვლები	5/125	15	6	94	31	90	2	2	
დიზაინ-პროექტირება - კონსტრუირება/ტექნოლოგია/მასალაში შესრულება I	6/150	15	8	124	26	120	2	2	
დიზაინ-პროექტირება - კონსტრუირება/ტექნოლოგია/მასალაში შესრულება II	6/150	15	8	124	26	120	2	2	
დიზაინ-პროექტირება - კონსტრუირება/ტექნოლოგია/მასალაში შესრულება III	6/150	15	8	124	26	120	2	2	
დიზაინ-პროექტირება - კონსტრუირება/ტექნოლოგია/მასალაში შესრულება IV	6/150	15	8	124	26	120	2	2	
დიზაინ-პროექტირება - კონსტრუირება/ტექნოლოგია/მასალაში შესრულება V	6/150	15	8	124	26	120	2	2	
საბაკალავრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი/ინდივიდუალური დიზაინის პროექტირება	10/250	15							
სულ :	140								

ციფრული მედია და კომუნიკაციები	წინაპირობის გარეშე										
კულტურული ინოვაციები და მათი გამოყენების მექანიზმები	წინაპირობის გარეშე										
სპეციალობის დისციპლინები		12	12	20	20	20	20	20	16	140	
კომპოზიციის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	5									
მოდის ილუსტრაცია (ტექნიკური ნახატი)	წინაპირობის გარეშე	3									
მასალათმცოდნეობა	წინაპირობის გარეშე	2									
საბაზისო მაკეტირება	წინაპირობის გარეშე	2									
სპეც. კომპოზიციის საფუძვლები	კომპოზიციის საფუძვლები		5								
საპროექტო გრაფიკა : მოდის ილუსტრაცია (სტილიზაცია)	წინაპირობის გარეშე		3								
სიბრტყობრივი და მოცულობითი ფორმების პროექტირება	საბაზისო მაკეტირება		2								
ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (კოლაჟი/აპლიკაცია)	წინაპირობის გარეშე		2								
სპეც. კომპოზიცია I	სპეც. კომპოზიციის საფუძვლები			4							
დიზაინ-პროექტირება : კონსტრუირება/ტექნოლოგია/მასალაში შესრულება I	საბაზისო მაკეტირება			6							
ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (ქვილთი)	წინაპირობის გარეშე			4							
ქსოვის ტექნიკა	წინაპირობის გარეშე			3							
საპროექტო გრაფიკა : მოდის ციფრული ილუსტრაცია (CLO-ს პროგრამები)	წინაპირობის გარეშე			3							
სპეც კომპოზიცია II	სპეც. კომპოზიცია I				4						
დიზაინ-პროექტირება:კონსტრუირება /ტექნოლოგია/მასალაში შესრულება II	დიზაინ-პროექტირება : კონსტრუირება /ტექნოლოგია/ მასალაში შესრულება I				6						
ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (შიბორი)	წინაპირობის გარეშე				4						
დეკორატიული ქსოვა	წინაპირობის გარეშე				3						
საპროექტო გრაფიკა : მოდის ციფრული პოტფოლიო	წინაპირობის გარეშე				3						
სპეც კომპოზიცია III	სპეც კომპოზიცია II					4					
დიზაინ-პროექტირება :კონსტრუირება/ ტექნოლოგია/მასალაში შესრულება III	დიზაინ-პროექტირება : კონსტრუირება /ტექნოლოგია/ მასალაში შესრულება II					6					
ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება(ცივი ბატიკა)	წინაპირობის გარეშე					4					
შემოქმედებით ქსოვა და ქარგვა	წინაპირობის გარეშე					3					
ფეხსაცმლის ტექნოლოგია (მცირე ზომის მოდელები)	წინაპირობის გარეშე					3					
სპეც კომპოზიცია IV	სპეც კომპოზიცია III						4				
დიზაინ-პროექტირება :კონსტრუირება/ ტექნოლოგია/მასალაში შესრულება IV	დიზაინ-პროექტირება : კონსტრუირება /ტექნოლოგია/ მასალაში შესრულება III						6				
ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (ცხელი ბატიკა)	წინაპირობის გარეშე						4				
შერეული ტრიკოტაჟი და ქსოვა	წინაპირობის გარეშე						3				
ფეხსაცმლის ტექნოლოგია (ისტორიული ფეხსაცმლის ანალოგები)	წინაპირობის გარეშე						3				
სპეც კომპოზიცია V	სპეც. კომპოზიცია IV							4			
დიზაინ-პროექტირება : კონსტრუირება /ტექნოლოგია/მასალაში შესრულება V	დიზაინ-პროექტირება : კონსტრუირება /ტექნოლოგია/ მასალაში შესრულება IV							6			

ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (პრინტი)	წინაპირობის გარეშე							4		
მანქანური ქსოვა	წინაპირობის გარეშე							3		
ფეხსაცმლის ტექნოლოგია	წინაპირობის გარეშე							3		
პრეზენტაციის ტექნოლოგიები	წინაპირობის გარეშე								3	
პრაქტიკა - სპეც. ტექნოლოგიები (სავალდებულო არჩევითი) : * ექსპერიმენტული - კომბინირებული ქსოვილი * ექსპერიმენტული - კომბინირებული ტრიკოტაჟი * ექსპერიმენტული აქსესუარები	სპეც კომპოზიცია V ; დიზაინ-პროექტირება - კონსტრუირება /ტექნოლოგია /მასალაში შესრულება V									3
საბაკალავრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი/ინდივიდუალური დიზაინის პროექტირება	სპეც კომპოზიცია V ; დიზაინ-პროექტირება - კონსტრუირება /ტექნოლოგია/ მასალაში შესრულება V									10
სულ :		37	37	34	34	28	28	26	16	240

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი :

პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს ახორციელებენ - თსსა აკადემიური პერსონალი და სპეციალურად მოწვეული პედაგოგები (პრაქტიკოსები)

№	პედაგოგი სახელი/გვარი	სტატუსი	დისციპლინა
1	ნინო მგალობლიშვილი	კულტურის კვლევების დოქტორი, პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> პრეზენტაციის ტექნოლოგიები მოდის ფსიქოლოგია (სპეცილობის არჩევითი დისციპლინა) მოცულობითი ფორმების პროექტირება / 3D (სპეცილობის არჩევითი დისციპლინა) საბაკალავრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი/ინდივიდუალური დიზაინის პროექტირება
2	ეკატერინე ჩხუტიშვილი	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> სპეც კომპოზიცია II სპეც კომპოზიცია III სპეც კომპოზიცია IV სპეც კომპოზიცია V საბაკალავრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი/ინდივიდუალური დიზაინის პროექტირება
3	ნინო ჯაში	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> კომპოზიციის საფუძვლები სპეც. კომპოზიციის საფუძვლები სპეც კომპოზიცია III სპეც კომპოზიცია IV სპეც კომპოზიცია V საბაკალავრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი/ინდივიდუალური დიზაინის პროექტირება
4	ანა ჩაკვეტაძე	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> კომპოზიციის საფუძვლები

			<ul style="list-style-type: none"> • სპეც. კომპოზიციის საფუძვლები • სპეც. კომპოზიცია I • სპეც კომპოზიცია II • საბაკალავრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი/ინდივიდუალური დიზაინის პროექტირება
5	თეა ბოდუკია	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • კომპოზიციის საფუძვლები • სპეც. კომპოზიციის საფუძვლები • სპეც. კომპოზიცია I • სპეც კომპოზიცია II • საბაკალავრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი/ინდივიდუალური დიზაინის პროექტირება
6	ია ფიცხელაური- გომიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • მოდის ილუსტრაცია (ტექნიკური ნახატი) • საპროექტო გრაფიკა : მოდის ილუსტრაცია (სტილიზაცია) • სპეც კომპოზიცია I • სპეც კომპოზიცია II • საბაკალავრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი/ინდივიდუალური დიზაინის პროექტირება
7	რუსუდან იოსელიანი	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • სპეც კომპოზიცია III • სპეც კომპოზიცია IV • სპეც კომპოზიცია V • საბაკალავრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი/ინდივიდუალური დიზაინის პროექტირება
8	მაია ბახტაძე	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • სპეც კომპოზიცია III • სპეც კომპოზიცია IV • სპეც კომპოზიცია V • საბაკალავრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი/ინდივიდუალური დიზაინის პროექტირება
9	მარიამ ბერიძე	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (კოლაჟი, აპლიკაცია) • ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (ქვილთი) • ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (შიბორი) • ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (ცხელი ბატიკა) • ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (ცივი ბატიკა) • ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (პრინტი) • სპეც. ტექნოლოგიები : ექსპერიმენტული - ქსოვილის ტექნოლოგია
10	ნანა გულისაშვილი	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • საბაზისო მაკეტირება • სიბრტყობრივი და მოცულობითი ფორმების პროექტირება • დიზაინ-პროექტირება - კონსტრუირება/ტექნოლოგია/მასალაში შესრულება I • დიზაინ-პროექტირება - კონსტრუირება/ტექნოლოგია/მასალაში შესრულება II
11	ესმა ცეცხლაძე	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • დიზაინ-პროექტირება - კონსტრუირება/ტექნოლოგია/მასალაში შესრულება III • დიზაინ-პროექტირება - კონსტრუირება/ტექნოლოგია/მასალაში შესრულება IV
12	ლეილა ენუქიძე	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • დიზაინ-პროექტირება - კონსტრუირება/ტექნოლოგია/მასალაში შესრულება V • საბაკალავრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი/ინდივიდუალური დიზაინის პროექტირება

13	ლელა კობერიძე	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • ფეხსაცმლის ტექნოლოგია (მცირე ზომის მოდელები) • ფეხსაცმლის ტექნოლოგია (ისტორიული ფეხსაცმლის ანალოგები) • სპეც. ტექნოლოგიები : ექსპერიმენტული - აქსესუარები
14	ეკატერინე დარჩია	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • ქსოვის ტექნიკა • დეკორატიული ქსოვა • შემოქმედებითი ქსოვა და ქარგვა • შერეული ტრიკოტაჟი და ქსოვა • მანქანური ქსოვა • სპეც. ტექნოლოგიები : ექსპერიმენტული - კომბინირებული ტრიკოტაჟი
15	მანანა სოხაძე	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (კოლაჟი, აპლიკაცია) • ქსოვილის ზედაპირის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება (ქვილთი)
16	თეონა გაგლოევა	მოწვეული პედაგოგი, მოდის სარეკლამო გრაფიკული დიზაინერ - ილუსტრატორი, "DFOC", "GATEO " დამფუძნებელი	<ul style="list-style-type: none"> • საპროექტო გრაფიკა : მოდის ციფრული ილუსტრაცია (CLO-ს პროგრამები) • საპროექტო გრაფიკა - მოდის ციფრული პოტფოლიო
17	ზურა მაგალობლიშვილი	მოწვეული პედაგოგი, ეკონომისტი, შპს "ავთანდილ ცეკიტინიძე ადმასრულებელი დირექტორი	<ul style="list-style-type: none"> • მოდის მენეჯმენტი (სპეციალობის არჩევითი)
18	ნათელა ფოცხვერია	მოწვეული პედაგოგი, Lifestyle განყოფილების დამფუძნებელი და კრეატიული დირექტორი ;Style Apps (კომერსანტი) მთავარი რედაქტორი.	<ul style="list-style-type: none"> • მოდის ინდუსტრიის პრინციპები და ფუნქციონირება (სპეციალობის არჩევითი)
19	ნინო გუნია	მოწვეული პედაგოგი, სახვითი ხელოვნების დოცენტი, სცენოგრაფი, კურატორი, არტ მენეჯერი	<ul style="list-style-type: none"> • კოსტიუმის ისტორია (სპეციალობის არჩევითი)
20	იზოლადა მელიქიშვილი	მოწვეული პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ხელოვნების ისტორიის თეორიის ფაკულტეტის პროფესორი, ხელოვნების სასახლე- ქართული კულტურის ისტორიის მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ასოც. მეცნიერთანამშრომელი	<ul style="list-style-type: none"> • ქართული კოსტიუმის ისტორია (სპეციალობის არჩევითი)